საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს: სპეციალობის სავალდებულო კურსები - 85 კრედიტი, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი -- 30 კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა-5 კრედიტი. მოდული (არჩევითი)-35 კრედიტი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ➢ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ➢ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) - B2 დონე და სპეციალობა; ➢ მობილობის წესით (შიდა/გარე) ჩარიცხვა; ➢ უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ მიზნებია: მოამზადოს თანამედროვე ბიზნეს-გარემოზე, მის ცვალებად და მზარდ მოთხოვნებზე ორიენტირებული, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე სპეციალისტი, რომელიც ბიზნესის ადმინისტრირების ერთ-ერთ კონცენტრაციაში - ბიზნეს-კომუნიკაციების მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, საერთაშორისო ბიზნესი მიიღებს სისტემურ ცოდნას. მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნესის ინტერდისციპლინარური მახასიათებელების, სტრატეგიული მარკეტინგის და მენეჯმენტის, გლობალური ბიზნესის და ორგანიზაციული ქცევის, ფინანსური მენეჯმენტის და ბიზნეს-ტექნოლოგიების, ბიზნეს-კომუნიკაციების მენეჯმენტის,ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის, საერთაშორისო ბიზნესის, მარკეტინგის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების შესახებ. უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის ლიდერის საჭირო თვისებების განვითარება; ორგანიზაციის მიზნების სწორად დასახვის, ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებისა და არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსების სწორად მართვის, ბიზნესის სირთულეების იდენტიფიცირების და მათი დაძლევის გზების დასახვის, პრობლემის დანახვისა და გადაჭრის,
სწავლის შედეგები	-აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე მეთოდების და მისი გამოყენების, ბიზნესის ინოვაციური ფაქტორების, სტრატეგიული მენეჯმენტის და მარკეტინგის კონცეფციების, ბიზნესის დაგეგმვის პრინციპების, მარკეტინგული კომუნიკაციების და ტექნოლოგიების, ტურიზმის მარკეტინგის მახასიათებლების, დარგობრივი ბაზრების და ბიზნესის კლასტერიზაციისპრაქტიკული საკითხების შესახებ; -ფლობს გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიების განსაზღვრის და გამოყენების, ბიზნესის სირთულეების იდენტიფიცირების და მათი დაძლევის გზების დასახვის უნარს; ფლობს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა სრულყოფილი დაგეგმვის, კონტროლის და აღსრულების, - ელექტრონული კომერციის მართვის უნარს. -შეუძლია მკაფიო და სიღრმისეული წარმოდგენა ბიზნესის ინტერდისციპლინარულობის მახასიათებელების, ქვედარგებისა და სპეციალიზაციების, კონკრეტული ქვედარგის აქტუალურ პრობლემატიკის შესახებ, რაც მათ საშუალებას მისცემს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ირჩევს თუ რა მიმართულებით გააგრძელოს სწავლა და რომელი მამართულების განვითარებაში შეიტანოს საკუთარი წვლილი;
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: რეზო მანველიძე, პროფესორი. ტელ: 577461346; e-mail: manvelidze.revaz@bsu.edu.ge